შეთანხმება №16/02-076/293ც

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2016 წლის 25 მაისის №16/02-076 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი **22 მაისი, 2020 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო** (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს ადმინისტრაციის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **თამარ ჩუბინიძის** სახით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **მონაცემთა გაცვლის სააგენტო** (შემდგომში - მონაცემთა გაცვლის სააგენტო), წარმოდგენილი მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის, **ნიკოლოზ გაგნიძის** სახით, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის უფროსის, **მიხეილ ჯანიაშვილის** სახით და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - მომსახურების სააგენტო) წარმოდგენილი მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **თენგიზ აბაზაძის** სახით, შემდგომში ერთობლივად მხარეებად წოდებულნი,

„სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ფიზიკურ პირზე არსებული ინფორმაციის სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მიწოდების შესახებ“ 2016 წლის 25 მაისის №16/02-076 ხელშეკრულების 13.2 პუნქტისა და მომსახურების სააგენტოს 2020 წლის 4 მაისის №04/10141 (სააგენტოში რეგისტრაციის №52556, 04.05.2020წ.) წერილის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების საგანი

შეთანხმების საგანია მხარეთა შორის 2016 წლის 25 მაისს დადებული №16/02-076 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, მასში ცვლილების შეტანა.

მუხლი 2. ცვლილება ხელშეკრულებაში

2.1 ხელშეკრულების 9.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„9.2 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **ვლადიმერ სიჭინავა** (მობ.: 577615599; ელ. ფოსტა: l.sichinava@sda.gov.ge); მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხრიდან - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი - **ირაკლი მაისაია** (მობ.: 591440644; ელ. ფოსტა: imaisaia@dea.gov.ge) მომსახურების სააგენტოს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (მობ.: 577944991; ელ. ფოსტა: zbatiashvili@ssa.gov.ge), სამინისტროს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების, პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი - **ირაკლი ელიაშვილი** (მობ: 577178877; ელ. ფოსტა: ieliashvili@moh.gov.ge).“.

2.2 ხელშეკრულების 10.1-10.2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„10.1 ელექტრონული სერტიფიკატის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **ვლადიმერ სიჭინავა** (მობ.: 577615599; ელ. ფოსტა: l.sichinava@sda.gov.ge), მომსახურების სააგენტოს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, **ზურაბ ბატიაშვილი** (მობ.: 577944991; ელ. ფოსტა: zbatiashvili@ssa.gov.ge).

თამარ ჩუბინიძე	**ნიკოლოზ გაგნიძე**	**მიხეილ ჯანიაშვილი**	**თენგიზ აბაზაძე**

10.2 ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული მზაობის შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან - გარე მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - **ვლადიმერ სიჭინავა** (მობ.: 577615599; ელ. ფოსტა: l.sichinava@sda.gov.ge); მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მხრიდან - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს უფროსი - **ირაკლი მაისაია** (მობ.: 591440644; ელ. ფოსტა: imaisaia@dea.gov.ge); მომსახურების სააგენტოს მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - **ზურაბ ბატიაშვილი** (მობ.: 577944991; ელ. ფოსტა: zbatiashvili@ssa.gov.ge).“.

2.3 ხელშეკრულების 13.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„13.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 25 მაისიდან და ძალაშია 2021 წლის 24 მაისის ჩათვლით.“.

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1 შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3.2 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
3.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

მუხლი 4. მხარეთა რეკვიზიტები

4.1 **სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“** – მის.: ქ. თბილისი, 0154, აკ. წერეთლის გამზირი №67ა, ს/კოდი 202307404.
4.2 **სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“** – მის.: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №50; ს/კოდი 204577699.
4.3 **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** - მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი:211333957.
4.4 **სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო** - მის.: ქ. თბილისი, 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144, ს/კოდი: 202178927.

	Nikoloz Gagnidze Digitally signed by Nikoloz Gagnidze Date: 2020.05.22 14:24:49 +04'00'	Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia Date: 2020.05.22 15:12:49 +04'00'	LEPL SOCIAL SERVICE AGENCY 2020.05.22 15:01:35 +04'00'
თამარ ჩუბინიძე	**ნიკოლოზ გაგნიძე**	**მიხეილ ჯანიაშვილი**	**თენგიზ აბაზაძე**